საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №8

2010 წ. „24“ 12

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 37-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2010 წლის 24 დეკემბრის №2 სხდომის ოქმის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 3269 -ით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2010 წლის 24 დეკემბრის №2 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია